


# მზის ხილისა და ბოსტნეულის საშრობები





მზის საშრობი წარმოადგენს ყუთს, სადაც ხილისა და ბოსტნეულის გასაშრობად გამოყენებულია მზის სითბო. არსებობს საშრობების სხვადასხვა მოდელი. მათი აგება მარტივია. ხილი თავსდება მავთულიან ბადეზე საშრობში, თვით საშრობი იდგმება მზეზე, რომელიც ხილის გაშრობისთვის საჭირო ტემპერატურას იღებს (50-80°C, გააჩნია მოდელს). ჩვეულებრივი, მეტალის ფირფიტა იფარება შუშით, რომელიც წარმოშობს თბილი ჰაერის ნაკადს, რის მეშვეობით ხდება ხილისა და ბოსტნეულის შრობა. ვინაიდან, ხილი არ არის პირდაპირ მზეზე გამოფენილი. ასეთ საშრობებში გამშრალი ხილი და ბოსტნეული ინარჩუნებს ფერს, გემოს, არომატს და კარგად ინახება.



მზის საშრობში ხილის გაშრობა შესაძლებელია რამდენიმე დღეში (დამოკიდებულია ხილის ტიპზე და მზიან ამინდზე), სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვით.

ხილის შრობა კარგი ბიზნეს შესაძლებლობაა, რადგან გამშრალი ხილისა და ბოსტნეულის ფასი ჩვეულებრივ, უფრო მაღალია ვიდრე ნედლი, ახალ ხილთან შედარებით. საკუთარი მოხმარებისას, გამშრალი ხილი კარგი დანამატია დღიური დიეტისთვის.



ჭავჭავაძის გამზირი 29-33, II სართული  
თბილისი 0179, საქართველო  
ტელ.: (+995 32) 225 39 42/43  
ელ-ფოსტა: [info@epfound.ge](mailto:info@epfound.ge)

სოფ. მისაქციელი, მცხეთის რაიონი  
ტელ: 8790 100539  
ელ-ფოსტა: [rurcom@gmail.com](mailto:rurcom@gmail.com)  
ვებგვერდი: [www.rcda.ge](http://www.rcda.ge)

